ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 83 (18625) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲐᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

Ი. ვ. ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲝᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი 8 აპრილს ეწვია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. მან დათვალიერა აქ გაშლილი სახალხო მოხმარების საქონლის გამოფენა.

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში სტუმარი გაეცნო კომკავშირული და პიონერული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემას, ახალგაზრდული პრობლემების შესწავლის ცენტრის მუშაობას. აქ შექმნილია ყველა პირობა ახალგაზრდობის ნაყოფიერი მეცადინეობისა და დასვენებისათვის.

ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი იყო თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს წარმოებაში მეცნიერების „ღწევათა დანერგვისათვის. ეს მეურნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თავისებური საექსპერიმენტო ბაზა გახდა. წარმოებასთან მეცნიერების ასეთმა ინტეგრაციამ კოლეტივს საშუალება მისცა უახლესი [illegible] ბისათვის მიწამომუშავებლობა [illegible] მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაადიდოს.

ამხანაგ ი. ვ. კაპიტონოვთან ერთად იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ვ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. ვ. ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ

8 Ა�პᲠᲘᲚᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი ეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს.

საუბრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ გააშუქა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

საუბრის დროს შეეხნენ ეკონომიკური და სოციალური მშენებლობის, ორგანიზატორული, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული მითითებებისა და რეკომენდაციების განხორციელებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ფართო წრის საკითხებს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემუშავებული სსრ კავშირის ხანგრძლივი პერსპექტივის ენერგეტიკული პროგრამის პროექტი. სსრ კავშირის ენერგეტიკულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ძირითადი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული, ტექნიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო გარდაქმნის გაღრმავებულებას განვითარების ინტენსიურ და ენერგოდამზოგავ გზაზე მისი უსწრაფესი გადაყვანის მიზნით.

პროგრამის შემუშავება განხორციელდა 2000 წლამდე პერიოდის თვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშებათა საფუძველზე ქვეყნის წინაშე ამ პერიოდში მდგომი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით, აგრეთვე მიღწეული საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ბაზაზე.

სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა, დაიჩქაროს ატომური ენერგეტიკის, მათ შორის სწრაფნეიტრონიანი რეაქტორების განვითარება, გაგრძელდეს ენერგიის ახალი წყაროების ძიება. გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს გაზისა და ნავთობის მოპოვება დასავლეთ ციმბირში და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ტრანსპორტირება ქვეყნის ევროპულ ნაწილში, თანამიმდევრულად გადადგეს ნათობა-ენერგეტიკული კომპლექსის ეფექტიანობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის ბაზაზე, შეიქმნას ენერგიისა და რესურსების დაზოგვის ნაიმედო სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნათობა-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომი განვითარება, ენერგეტიკული ბალანსის სრულყოფა, შრომის ნაყოფიერების გაზრდა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის საფუძველზე ენერგეტიკული რესურსების წარმოების დროს ნათობისა და ენერგიის რაციონალური გამოყენება და მომბერნედ ხარჯვა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხსდომაზე განიხილეს პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში წესრიგისა და დისციპლინის დამყარების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხსდომაზე განიხილეს ცალკეული დარგებისა და ეკონომიკური რაიონების განვითარების შესახებ იმ წინადადებათა შეტანისა და მიღების წესის საკითხი, რომელთა განხორციელება დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. გათვალისწინებულია ასეთი წინადადებების უკეთ დაკავშირება ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიელი და მიმდინარე გეგმების შედგენასთან, მათი ყოველმხრივი დამუშავება, შეთანხმება და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხსდომაზე განიხილეს აგრეთვე მშრომელთა კოლექტივებში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი განვითარების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში მათი როლის გაზრდის საკითხები.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ...

ტ. ი. ᲐᲮᲣᲜᲖᲘᲐᲜᲝᲕᲘ,
სკკპ ბაზკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ᲛᲐᲡᲐᲒᲑᲘᲡ ნამდვილი ორგანიზატორი და აღმზრდელი რომ იყოს, კომუნისტს უნდა ჰქონდეს არა მარტო მაღალი ზნეობრივი თვისებები და პროფესიული ცოდნა, არამედ ღრმა იდეური მრწამსი, პოლიტიკური წრთობა. ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტი ცდილობს მოაწყოს მუშაობა ხელმძღვანელი კადრების მართვის ლენინური მოშზადების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენ გვაყვს გამოცდილი წარმოების ორგანიზატორების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების დიდი რაზმი. მათი მარქსისტულ-ლენინური სწავლება ასეა მოწყობილი: კომუნისტები აღრიცხვაზე არიან თავიანთ პირველადს ორგანიზაციებში და ამავე დროს შედიან ზემდგომი პარტიული კომიტეტების ნომენკლატურაში. ამგვარად პარტიულ სწავლებას კონტროლს უწევენ პირველადი ორგანიზაციები და უფრო მაღალ დონეზეც.

სკკპ საოლქო კომიტეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია იდეოლოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში, რომელიც ათ წელიწადზე მეტია მოქმედებს, ერთდროულად დაახლოებით 500 კაცი მეცადინეობს. მეცადინეობის მიზანია — მსმენელები შეაიარაღოს უახლესი ცოდნით იმ პრობლემებზე, რომლებსაც ამ პერიოდში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებათ. მეცადინეობისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითი დისკუსიები, თეორიული საკითხების პრაქტიკასთან დაკავშირება. ამავე პრინციპით მოქმედებენ რაიონული და საქალაქო სკოლებიც. გაამართლა აგრეთვე მსხვილ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილმა სკოლებმაც.

სწავლება თვითმიზანი არ არის. მან ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ადამიანთა აღზრდის ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ზრდას.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ

ა. ა. ᲕᲘᲮᲚᲘᲐᲔᲕᲘ,
ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანი

ᲨᲐᲠᲨᲘᲜ ჩვენს ქარხანაში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებული 160 თანამშრომლიდან 85 პროცენტს წამყვანი პროფესიების მუშები შეადგენენ. ამასთან, ამ ადამიანებმა ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში სულ ცოტა 4-5 წელიწადს იმუშავეს. თითოეული მათგანი მტკიცედ დამკვიდრდა კოლექტივში და სრულად შეეგრძნო მისი რიტმი, თავისი შრომითი წვლილი შეაქვს საწარმოს წინაშე დასახული ამოცანების რეალიზაციაში.

სკკპ წევრობის კანდიდატთა აღზრდაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ რეკომენდაციის მიმცემთ. ისინი სამნი არიან. ეს კი დიდი ძალაა. ისინი პარტიის წევრობის კანდიდატს ეხმარებიან პროფესიული ოსტატობის სრულყოფაში, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში. მაგალითად, მუქედლის შეგირდს კომკავშირელ ტ. ყაკუნს სკკპ წევრობის კანდიდატად შესვლისათვის რეკომენდაცია მისცა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გ. ტარასენკომ. ვეტერანი ახალგაზრდა კომუნისტს გვერდით მუშაობდა და ყოველდღიურად უხსნიდა პროფესიის ყოველ წვრილმანს. ასწავლიდა გამოემუშავებინა პარტიელისათვის დამახასიათებელი თვისებები—საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნელობა, იმის უნარი, რომ ასრულებდეს სიტყვას და იძლეოდეს შრომისმოყვარეობის მაგალითს, ინიციატივიანად და შემოქმედებითად ეკიდებოდეს დაკისრებულ საქმეს, მუშაობდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. დღეს ტ. ყაკუნი უკვე თვითონ ხელმძღვანელობს მუქედელთა ბრიგადას და წარმატებით ეჯიბრება თავის მასწავლებელს.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობაში საამქრო პარტიული ორგანიზაციები, საწარმოს პარტიული კომიტეტი ფართოდ იყენებენ მათ ანგარიშებს საკანდიდატო სტაჟის გავლის შესახებ. ვცდილობთ, რომ ანგარიშის ჩამბარებლებმა სრული გაგებითა და პასუხისმგებლობით, გააანალიზონ თავიანთი პირადი წვლილი კოლექტივის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

პარტიაში ახლახან მიღებულთა იდეურ წრთობასა და აღზრდაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლას. ტრადიციისამებრ მსმენელებთან პირველი მეცადინეობა იმართება ქარხნის სახალხო მუზეუმში, რომლის ექსპონატები მათ აცნობენ სახელგანთქმული კოლექტივის შრომითს წარმატებებს, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას. როგორც წესი, მეცადინეობაზე გამოდიან პარტიის ვეტერანები, სოციალისტური შრომის გმირები, პარტიული კომიტეტის წევრები და საამქრო პარტიული ორგანიზაციების მდივნები. სკოლის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი გახდა პარტიის წევრად კანდიდატთა მიღებისათვის ხარისხოვანი მომზადების ქმედითი საშუალება.

პარტიის წევრობის კანდიდატთა აღზრდისათვის მიზანმიმართული ყოველდღიური მუშაობა დადებით შედეგებს იძლევა. პარტიის წევრობის ყველა კანდიდატი წარმატებით ართმევს თავს საწარმოო დავალებათა შესრულებას, მათგან დაახლოებით 70 პროცენტს კომუნისტური შრომის დამკვრელები ან ბრიგადის წევრები შეადგენენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: კონფერენციის მონაწილენი რუს თავის მეტალურგიულ ქარხანაში.
მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲤᲠᲝ ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ!

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛ�პᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ 7 Ა�პᲠᲘᲚᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲜᲝ!

მე წლად მხვდა დიდი პატივი გავხსნა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ეძღვნება.

კონფერენცია ეს-ესაა იწყებს თავის მუშაობას, მაგრამ უკვე გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ მას საერთო-პარტიული მნიშვნელობა აქვს.

მის ზოგად, საერთო-პარტიულ ხასიათს განსაზღვრავს, ჯერ ერთი, ის, რომ იგი განიხილავს — თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით — მთელი პარტიისათვის აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია პირველადი პარტორგანიზაციების როლის ზრდასთან მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში. ღირსშესანიშნავია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ ეს პირველი საკავშირო კონფერენცია გაანალიზებს პარტიის ძირეული რგოლების — მისი საფუძვლის, მისი საძირკვლის — საქმიანობის სწორედ ამ ასპექტებს. ასეთი კონფერენციის მოწვევის ფაქტით სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა მთელი პარტიის მკვეთრი შემობრუნება პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობის საკითხებისაკენ, სადაც პირველ რიგში უნდა ხორციელდებოდეს სწორედ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებანი.

მეორე, ამ კონფერენციის საერთო-პარტიული ხასიათი ის არის, რომ აქ წარმოდგენილია პარტიის ყველა რაზმი, მასში მონაწილეობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ქვეყნის ყველა მხარისა და ოლქის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების პოლიტორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობა, ცენტრალური პარტიული გამოცემების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები. ამგვარად, ახლანდელ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას მეტად წარმომადგენლობითი ხასიათი აქვს, და ეს განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ.

კონფერენციის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ მის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ივანე ვასილის ძე კაპიტონოვი, რომელიც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვალენტინ მიხეილის ძე ნიკიფოროვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. პეტრე კირილეს ძე ლუჩინსკი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ანატოლი გრიგოლის ძე ეგოროვი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი ამხ. მიხეილ ივანეს ძე ხალდეევი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორი ამხ. ვადიმ ანდრიას ძე მედვედევი.

ძალიან მინდა ყველანი მოგიხსენიოთ გვარით, სახელითა და მამის სახელით, ძვირფასო ამხანაგებო, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორების გამგეები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების მეორე მდივნები, მდივნები და განყოფილებათა გამგეები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ყველა, ვინც აქ ესწრება, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევს რეგლამენტი. ამიტომ ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მოგესალმოთ ყველას, ვინც ამ დარბაზში ბრძანდებით.

ყველაზე დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სამდივნოს იმისათვის, რომ კონფერენციის მოწვევის ადგილად აირჩიეს ქალაქი თბილისი. ამ გარემოებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი თავის მუშაობას იწყებს ათწლეულის შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის, ისევე როგორც უშუალოდ საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელებისადმი მიმართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი ექვსი გადაწყვეტილების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ ძირეულად გაეჯანსაღებინა ვითარება რესპუბლიკაში, განემტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დახმარებოდა მშრომელებს უფრო წარმატებით გადაეწყვიტათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

და ახლა, როცა გაეცნობით პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას, პარტიული კომიტეტების მუშაობას, იმედი გვაქვს, შენიშნავთ იმ ცვლილებებს, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა ბოლო წლების მანძილზე, ვფიქრობთ. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლო იქნება ეწვიოთ, როგორც კონფერენციის პროგრამითაა გათვალისწინებული, საქართველოს კომპარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებს, გარდაბნისა და ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომებს, საავიაციო და ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, სამშენებლო ტრესტის, მეთოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, ქარხანასთან ერთ კომპლექსში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ელექტრული მანქანების ტექნოლოგიაზე მომუშავე მეორე ინსტიტუტის, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების შრომითს კოლექტივებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

ცხადია, ერთხელ მისვლით ძნელია ჩასწვდეთ ყველა საქმეს, რომლებითაც ცხოვრობდა რესპუბლიკა, მთელი მისი პარტორგანიზაცია ათი წლის მანძილზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დროც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იგრძნოთ, თუ რაოდენ დიდი იყო ჩვენი სურვილი სწორი დასკვნები გამოგვეტანა იმ კრიტიკიდან, რომელსაც შეიცავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ერთი რამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას: ყოველივე, რაც გაკეთდა, ძირითადად იმ მუშაობის შედეგია, რომელიც მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ეს იყო მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის, ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესების დამკვიდრებისათვის.

დღეს გვახსენდება, რომ იმ ხანად, როცა ის-ის იყო იწყებოდა მუშაობა ამ დადგენილების რეალიზაციისათვის, ჩვენ წინაშე ბევრი სიძნელე წამოიჭრა. და ყველაზე რთული იყო პრობლემა: რით დავიწყოთ? ყველამ გამოვიტანეთ დასკვნა: უნდა დავიწყოთ ადამიანით! სწორედ ადამიანს, ადამიანებს — კომუნისტებს, ყველა მშრომელს — უნდა განეხორციელებინათ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის ყოველი პუნქტი, ყოველი პარაგრაფი, ყოველი სტრიქონი.

ეს იყო ადამიანისათვის, ადამიანში ყოველივე ადამიანურისათვის ბრძოლის პერიოდი. როგორც ჩვენმა ფილოსოფოსებმა ბრძანეს, ადამიანის შეგნებაში უნდა მოგვეხდინა, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ზნეობრივი რევოლუცია“, რათა მას ერწმუნა საკუთარი თავი, საკუთარი ძალები და შესაძლებლობანი, ის, რომ შეიძლება წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

მაგრამ ადამიანი, როგორც ცნობილია, თავისთავად არ არსებობს. იგი ცხოვრობს, მუშაობს, ავითარებს თავის უნარს შრომითს კოლექტივში — საზოგადოების თავდაპირველ, ძირითად, საბაზო უჯრედში, რომლის პოლიტიკური ბირთვია პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲒ.)

ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ, ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲑᲐᲗᲐᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲙᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ი. ვ. ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐ

უფრო ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტი, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ერთმანეთს ცოცხალი სიტყვა და ცოცხალი საქმე!

(დასასრული)

ასე დაედო საფუძვლად მთელ ჩვენს მუშაობას სისტემა: ადამიანი — შრომითი კოლექტივი — პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სწორედ აქ, პირველადს პარტორგანიზაციაში, დავიწყეთ ბრძოლა რესპუბლიკის ცხოვრების ბევრ სფეროში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების წინააღმდეგ, რადგან სწორედ აქ, პირველადს ორგანიზაციაში იყო ჩვენ წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის გასაღები.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ შევეცადეთ, რომ ყოველი პირველადი პარტორგანიზაცია, ყველა კომუნისტი მუდამ ყოფილიყო იმის კურსში, თუ რას ახმარენ ამა თუ იმ მომენტში მთელ თავიანთ მეცადინეობას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი პარტია. ამას ემსახურება ჩვენი საინფორმაციო სამსახური. იგი მოიცავს საინფორმაციო ბიულეტენებს, რომლებიც რეგულარულად იგზავნება ყველა ძირეულ პარტიულ რგოლში, პოლიტიკური განათლების სისტემაში, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების პროპაგანდისტებად მუშაობას, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წერილებს პარტიის წევრებისადმი სპეციალურ საკითხებზე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სამმიანობის ანგარიშებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტკონფერენციებზე, პირველადს პარტორგანიზაციებში და სხვ.

ცხოვრებამ, პრაქტიკამ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ საჭიროა ვეწეოდეთ კომუნისტებთან პირუთვნელ, გულახდილ და გულწრფელ საუბარს. ჩვენ შევეცადეთ საქმე ისე წარგვემართა, რომ თითოეულს სცოდნოდა, თუ რა სიძნელეები, რა ნაკლოვანებანი, რა გადასაჭრელი პრობლემები გვაქვს. და მაშინ თითოეულმა დაიწყო ძებნა და იპოვა კიდეც თავისი ადგილი საერთო ბრძოლაში.

იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც ზემოდან ქვემოთ მოდის, დავიწყეთ ყოველდღე ქვემოდან ზემოთ — შრომითი კოლექტივებიდან, პირველადი პარტორგანიზაციებიდან — მიღებული ინფორმაციების შეგროვება, გაანალიზება, განზოგადება. პარტიული საზოგადოებრიობის, ფართო მასების აზრის განუწყვეტლივ გათვალისწინება ბევრად დაგვეხმარა მიგვეღო სწორი სამართველო გადაწყვეტილებანი.

ამ შინაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი, რომლის დახმარებითაც მოგვარებულია უკუ საინფორმაციო კავშირი. განსაკუთრებით უურადღებით ვითვალისწინებთ კომუნისტების აზრს კადრების შერჩევისა და განაწილებისას. სწორედ შრომითს კოლექტივებში, პარტიულ კრებებზე დასაწინაურებელ მუშაკს შეიძლება მიეცეს ყველაზე ამომწურავი დახასიათება, ყველაზე ობიექტური რეკომენდაცია. პირველადი პარტორგანიზაციის აზრს ვითვალისწინებთ ნომენკლატურული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების ატესტაციის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე. ეს მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში. კონფერენციის მონაწილეებს შეუძლიათ გაეცნონ ლიტერატურას, რომელიც შეიცავს ჩვენს გამოცდილებას ამ ნაწილში.

კომუნისტების, ჩვენი საზოგადოებრიობის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებთ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმების, პარტიული აქტივის კრებების, სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების მომზადებისას. მათი მოწვევის შესახებ წინასწარ გამოქვეყნებული ცნობების პასუხად ვიღებთ საყურადღებო, საქმიან წინადადებებს, შენიშვნებს, რჩევას, რეკომენდაციებს, რომლებიც გვეხმარება გამოვნახოთ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზები.

ასე ვემზადებოდით ახლანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისთვისაც, ამ მზადებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ერთი წლის წინათ გამართული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრება, რომელსაც ასევე დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უძღოდა წინ. მაგრამ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დღევანდელი კონფერენციისათვის მზადება ერთი წლის წინათ კი არ დავიწყეთ, არამედ მისთვის უკვე 10 წელია ვემზადებით, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

პარტია გვასწავლის შემოქმედებითს მიდგომას საქმისადმი, ამკვიდრებს მუშაობის შემოქმედებითს, საქმიან სტილს, მოითხოვს უაღრეს კონკრეტულობასა და უაღრეს საგნობრიობას კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში.

მაგრამ შემოქმედებითი სტილი და შემოქმედებითი მიდგომა ერთბაშად როდი წარმოიშვება. ისინი ყალიბდება, ვითარდება და მკვიდრდება მხოლოდ შემოქმედებითს ატმოსფეროში, ნამდვილი შემოქმედების ვითარებაში, ყველა კომუნისტის ყველაზე აქტიური მონაწილეობით, პირველადი პარტიული ორგანიზაციის წარმმართველი როლის პირობებში, როცა თითოეულის წინაშე დგება რეალური, კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანები. მხოლოდ მაშინ მოვიშორებთ თავიდან ყოველივე დრომოჭმულს, ყოველივე მოძველებულს.

ამავე დროს თვით შემოქმედებითი ატმოსფეროც მუდამ არის ძიების, საყვარელი საქმისადმი ნოვატორული მიდგომის ნაყოფი. ნოვატორობა კი რთული მოვლენაა. იგი გულისხმობს ძველისა და ახლის ბრძოლას. არაფერი, მათ შორის მუშაობის დრომოჭმული მეთოდები ნებაყოფლობით არ დაუთმობს ადგილს ახალს, თუ არ ვაწარმოეთ ბრძოლა, ზოგჯერ მეტად მწვავე და არცთუ უმტკივნეულო, თუ არ დავამსხვრიეთ ძველი. და ეს გასაგებიცაა: ყოველივე ამის მიღმა დგანან ადამიანები, დგანან კადრები, რომელთაგან ზოგიერთი შეეჩვია ძველებურად ცხოვრებასა და მუშაობას. მათ ამოძრავებთ ინერციის ძალა, ისინი ჩვევის ტყვეობაში არიან. ბევრ მათგანს უშირს გარდაქმნა. და ეს პროცესი, ყოველივე კონსერვატიული, ყოველივე ძველის დაძლევისა და ახლის დამკვიდრების პროცესი, ისევე როგორც ყოველგვარი ბრძოლა, დიალექტიკის კანონების საფუძველზე ვითარდება.

ვ. ი. ლენინს ჩვენი პარტია მიაჩნდა მომავლის პარტიად, ნოვატორთა პარტიად. და საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ, როცა საჭიბოროტო საკითხები, მწვავე პრობლემები არ წყდება ჩვეულებრივ ფარგლებში, ცნობილი სტანდარტების ფარგლებში, უნდა გაბედულად დავნერგოთ სიახლე, მოვაწყოთ ექსპერიმენტები, მაგრამ, რა თქმა უნდა, კარგად გააზრებული, კარგად აწონ-დაწონილი ექსპერიმენტები.

და კიდევ. პარტიას აზრის სიახლე და სიტყვის სიახლე მიაჩნია მთელი მუშაობის სრულყოფის გზად, პარტია ცოცხალი სიტყვის მომხრეა. ამასთან პარტია დღენიადაგ მოგვიწოდებს, რომ ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს, რომ სიტყვა მუდამ საქმედ იქცეოდეს. ამიტომ ცოცხალი სიტყვა არ უნდა ჩამოვაცილოთ ცოცხალ საქმეს, არ უნდა გავმიჯნოთ ისინი. ცოცხალი საქმე კი შემოქმედების ელემენტების გარეშე არ არსებობს.

ნოვატორობა განყენებული ცნება როდია. ყოველივე ახალი უბრალოდ, ადვილად როდი იბადება. მაგალითად, 10 წელი დასჭირდა იმას, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში დაგვენერგა აბაშის ექსპერიმენტი, დაგვეცვა მისი არსებობის უფლება. ახლა მან აღიარება მოიპოვა. არადა, იყო დრო, როცა ზოგს იგი სადავოდ მიაჩნდა. იყო ცხარე დისკუსიები. იყვნენ ამ ექსპერიმენტის აშკარა მოწინააღმდეგენიც. ასეთი მაგალითი ბევრია.

გამომაქვს რა დასკვნა, მინდა ვთქვა: როცა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნას ვასრულებდით, ვცდილობდით შეგვექმნა პირობები, ისეთი ატმოსფერო, ისეთი ვითარება, როცა ადამიანები აშკარად, გულახდილად იხილავენ მტკივნეულ საკითხებს, გაბედულად, საჯაროდ აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, გაბედულად უარყოფენ ყოველივე მოძველებულს, თამამად გვთავაზობენ ახალს. და თუ ბოლომდე გულახდილი ვთქვით, ამ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესში გვქონდა შეცდომებიც, გვქონდა ხარვეზებიც. ზოგან, ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში, ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციაში სიახლეებს ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ზოგან შეიმჩნეოდა გატაცება უამრავი ნაირნაირი კომისიებით. ზოგან ექსპერიმენტად ასაღებნენ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მუშაობას. და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მეტად საშიშია, როცა ნოვატორობის ალმით სურთ შემოგვთავაზონ ფორმალური, გარეგნულად ეფექტური, არსით კი არაეფექტიანი მიდგომა საქმისადმი.

ნათქვამს მინდა დავუმატო: მივიწვიეთ რა კონფერენციის მონაწილენი პირველად პარტორგანიზაციებში, შევთავაზეთ ადგილობრივი გამოცდილების, იქ ჩასახული ექსპერიმენტების გაცნობა, ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ წარუმატებელი ექსპერიმენტიც გამოცდილებაა, იმის გამოცდილება, თუ როგორ არ უნდა იმუშაო და რით არ უნდა შეიარაღდე.

ამრიგად, ნოვატორული მიდგომა, მუშაობის შემოქმედებითი სტილი ბევრ პარტიულ კომიტეტს დაეხმარა ადამიანებში გაეღვიძებინა, განეკითარებინა მათი პოტენციური ძალები, მათი უშრეტი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. კომუნისტთა, ყველა მშრომელის აქტიურობის ამაღლებაში, პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტის განმტკიცებაში, შინაპარტიული დემოკრატიის გაღრმავებაში კი დავინახეთ დისციპლინის განმტკიცების უტყუარი გზა. და ეს მუშაობა ჩვენში პარალელურად წარმოებდა. სწორედ ამ ორი ბერკეტის მეოხებით — დემოკრატიისა და დისციპლინის ორგანულად მჭიდრო შეხამების, მუდმივი ურთიერთმოქმედების მეოხებით შევძელით კიდეც აგვმოქმედებინა ადამიანში არსებული შემოქმედებითი საწყისი, ადამიანებისათვის ჩაგვენერგა აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

მკაფიო სისტემა შეიქმნა მაღალი ორგანიზებულობისათვის ბრძოლის სფეროშიც. მუშაობა ეფექტიანი გამოდგა. მტკიცედ დამკვიდრდა ყოველდღიურ საქმიანობაში ისეთი ცნება, როგორიცაა დისციპლინის სტატისტიკა. იგი მოწმობს, რომ წლითიწლობით მცირდება კადრების დენადობა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობასა და მშენებლობაში.

შეუნელებელ კონტროლს დავუქვემდებარეთ თითოეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელის მიერ თანამებრძოვ მოვალეობათა შესრულება. აქაც შექმნილია ღონისძიებათა ქმედითი სისტემა.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი მმართულებებით პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მეცადინეობის კონცენტრაციის მეოხებით, რასაც კიდევ, ვიფიქრეთ ჩვენთან შექმნილი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მეშვეობით, უზრუნველყოფილია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამოლოო შედეგები. ამაზე ილაპარაკებს ამხ. გ. ვ. კოლბინი.

მოვიყვან ზოგიერთ მონაცემს. მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით სერიოზულმა ჩამორჩენამ მსა ჩაშლის საფრთხე შეუქმნა. და მხოლოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების, რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის მეცადინეობის მეოხებით მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხუთწლეულში 39 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა — 19 პროცენტით. მეათე ხუთწლედში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გადიდდა და შესაბამისად შეადგინა 41 და 34 პროცენტი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში კი 9,4 და 8,6 პროცენტი.

დიდ მასშტაბს მიაღწია კაპიტალურმა მშენებლობამ. ათწლეულში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 72 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ამოქმედებული ძირითადი ფონდებისა — 2,1-ჯერ.

გულდაჯერებით დაიწყო რესპუბლიკამ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, შუაგული წელიც. პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპმა 5,5 პროცენტი შეადგინა, ხორცის დამზადების საგეგმო დავალებანი შესრულდა 105,8 პროცენტით, რძისა — 102,5, კვერკბისა — 105,6 პროცენტით და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქტების დამზადების მოცულობა შესაბამისად გაიზარდა — 8,1; 2,1 და 7,8 პროცენტით.

ორი წლის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს უყოყმანოდ ვთქვათ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკა წარმატებით გაართმევს თავს საგეგმო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აქვე ვთქვა, რომ, თუ რაიმეს მიღწევა შევძელით, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულეს მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების საუკეთესო, მოწინავე გამოცდილებამ, სადაც საქართველოს კომუნისტები, ჩვენი ამხანაგები სისტემატურად ჩადიან და ადგილზე საფუძვლიანად, გულისყურით, ფანქრით ხელში სწავლობენ ყოველივე ახალს, ყოველივე საყურადღებოს, ცდილობენ გადმოიღონ ყოველივე პროგრესული, რათა შემდეგ თავისთან დანერგონ. და როცა თქვენი გამოცდილება ჩვენს ნიადაგში შესანიშნავ აღმონაცენს იძლევა, ყოველთვის მადლობით გიხსენებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო. ბევრი რამ სასურველია, სასარგებლო შევიძინეთ, სოციალისტური ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის გამოცდილებიდან.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ ჩვენ ... სოდეს არ ვჯერდებით მიღწეულს. დაუცხოფრობლობის გრძნობა არ გვტოვებს, და საბოლოო შედეგი, რომელსაც ახლა შევეხე, ეს ჩვენთვის სრულიადაც არ არის საბოლოო შედეგი.

როცა ეწვევით პირველადს პარტიულ ... ებს, გაეცნობით პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობას, ნახავთ იმასაც, რის გაკეთებაც ვერ შევძელთ, ჩვენს ნაკლოვანებებსა და ჩვენს ხარვეზებს. კერძოდ, ზოგან წაიწყდებით, ალბათ ფორმალიზმის, საქმისადმი ზერელე მიდგომის, ყოველგვარი დარღვევისადმი პასიური, შემრიგებლური დამოკიდებულების ელემენტებსაც.

ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ბევრი რამ, რასაც თავის შეცადინეობას აზმარს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რჩება მხოლოდ მართვის საშუალო რგოლში, ვერ აღწევს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებამდე, თითოეულ შრომითს კოლექტივამდე, თითოეულ კომუნისტამდე, ვერ იღებს სათანადო პრაქტიკულ უკუგებას, ვერ გვაძლევს სასურველ ეკონომიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ ეფექტს — ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საბოლოო შედეგს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას აკლია საჭირო სიმწვავე და უკომპრომისობა, არის ერთგვარი მოშვებულობა, მოდუნებულობა, პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები. ეს არის მიზეზი იმისა, რომ არ არის ურთიერთმომთხოვნელობისა და მომკითხველობის, თავის პარტიულ ორგანიზაციისა და მოლიანად პარტიაში საქმეებთან თითოეული კომუნისტის პირადი წილნაყარობისა და პირადი პასუხისმგებლობის სათანადო მაღალი გრძნობა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბრძოლისუნარიანობა აკლია ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციას, რომელთა ავანგარდული როლი სულ უფრო და უფრო უნდა გაგზარდოთ.

ჩვენი კონფერენცია ერთდროულად სამეცნიეროც არის და პრაქტიკულიც. ეს ორი მხარე, ორი ასპექტი განსაზღვრავს მთელი მისი მუშაობის ხასიათსა და მიმართულებას.

საგულისხმოა, რომ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავის შესახებ, ყრილობისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი ტიპის პარტიის შექმნას, როცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მაშინდელი საქარხნო სოციალ-დემოკრატიული უჯრედების ხასიათსა და შინაარსს, რომლებიც ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საყრდენ პუნქტებად მასებში საგაფიცო, პროპაგანდისტული და პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობისათვის.

ჩვენი კონფერენცია დაგვეხმარება განვაზოგადოთ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში შეძენილი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ჩვენ აქაც შევასრულებთ ვ. ი. ლენინის რჩევას, რომელიც წერდა, რომ საჭიროა „მეტი შესწავლა იმისა, რასაც ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, ცენტრისა და ადგილების გამოცდილება, იძლევა....“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, ყველა შრომითი კოლექტივის საქმიანობა წარმართოთ საკვანძო მიმართულებებით.

ასეთი საკვანძო მიმართულებებით წარმართავენ დღეს მთელ თავიანთ საქმიანობას პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ავტორიტეტისაგან შედგება მთელი ჩვენი პარტიის ავტორიტეტი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გახსნილად გამოცხადო.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

წინა ხაზზე, ცხოვრების შუაგულში

სექციურ სხდომებზე

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა თემას — „პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება შრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“, უნდა გაეაზროს ბოლო წლებში შეძენილი გამოცდილება, განაზოგადოს ყოველივე საყურადღებო და ეშიშვნელოვანი.

8 აპრილს გაიმართა ოთხი სექციის სხდომები, რომლებზეც განიხილეს სკკპ ძირეული რგოლების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი. გაიმართა საქმიანი, კონკრეტული სკკ-ბაასი კომუნისტების აქტიურობის ამაღლებისა და იდეური წრთობის გაძლიერების, პარტიული რიგების ზრდის, ხუთწლედის გეგმების განხორციელებაში, სამეურნეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში პირველადი პარტორგანიზაციების როლის შესახებ.

სექციების მუშაობას მეტი შინაარსი შესძინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენებამ. ამ მოხსენებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში პირველ პლენარულ სხდომაზე ყოველმხრივ იყო გაშუქებული პირველადი პარტიული. ორგანიზაციების საქმიანობის საკვანძო საკითხები, გაანალიზებული იყო სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის პარტიის ძირეული რგოლების მუშაობის გამოცდილება, განსაზღვრული იყო თანამედროვე ეტაპზე პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები.

პარტიულობის ლენინური სკოლა

პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის, ეკონომიკური და სოციალური გეგმების განხორციელებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის აქტუალური საკითხები, რომლებიც პლენარულ სხდომებზე განხილეს, კიდევ უფრო განვითარდა ამ სექციის მუშაობისას, რომელიც მიეძღვნა თემას — **„პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიული რიგების ზრდისათვის, კომუნისტების აქტიურობის ამაღლებისა და იდეური წრთობის გაძლიერებისათვის“.**

სექციის მუშაობას, რომლის სხდომაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა, მეთაურობდა ჟურნალ „პარტიანაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი მ. ი. ხალდეევი.

სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ვ. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის . განყოფილ ებ ის სექტორის გამგე ნ. თ. მიშჩენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ვ. გ. ბაიკოვა.

სექციის მუშაობის გახსნისას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ დამსწრეთ გააცნო გარდაქმნები, რომლებიც ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობაში მოხდა ათწლეულზე მეტი ხნის პერიოდში, რომელმაც განვლო თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ. ესაუბრა რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტების კონკრეტულ საქმეებსა და გეგმებზე.

„თუ თითოეული პარტიული ორგანიზაცია თავის უბანზე გამოიყენებს ყველა რეზერვს, დაამყარებს ჯეროვან წესრიგს ყველაფერში, მთელი ქვეყნის საქმეებიც წინ წავა“. ასე განსაზღვრა სკკპ XXVI ყრილობამ მთელ შინაპარტიულ ცხოვრებაში, მასებში, პარტიის მრავალმხრივ საქმიანობაში პირველადი პარტორგანიზაციის როლი და ადგილი. აქედან გამომდინარეობს კომუნისტების მომზადებულობის ამაღლება ერთმანეთისადმი, რაც ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენა გახდა, შეურიგებლობა ინერტულობისა და გულგრილობისადმი, საზოგადოებრივი პასიურობისადმი.

პარტიული რიგების მებრძოლურობა ყალიბდება პირველადს პარტორგანიზაციებში. აქ ძირეულია ორგანიზაციის თვისებრივი შემადგენლობის საკითხი. სწორედ პირველადი პარტორგანიზაცია, სადაც თითოეული ადამიანი მუდამ ყველას თვალწინ არის, უზრუნველყოფს, უნდა უზრუნველყოფდეს პარტიისათვის საუკეთესო მებრძოლთა შერჩევას. ამ თვალსაზრისით დიდია პირველადი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო პარტიული კრებების, როგორც პარტორგანიზაციების უმაღლესი ორგანოს როლსაც, პარტიაში მიღების საკითხთა გადწყვეტისას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებასაც, სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნათა დაცვისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებასაც, პარტიულ დავალებათა სწორად დაყენებულ პრაქტიკასაც. ამ საკითხებს მიუძღვნეს გამოსვლები სკკპ კურგანის საოლქო კომიტეტის მდივანმა პ. ა. მატვეევმა, ვოლგოგრადის ფ. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. თ. ხვატოვმა, სკკპ მოსკოვის ოლქის კოლომნის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. ფურავლიოვმა, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანმა ა. ა. ვიხლიაევმა, ყაზახეთის კომპარტიის ყარაღანდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. უსტინოვსკიმ.

კოლექტივში არაფორმალური ლიდერის არჩევა რთული და დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა. აქ სულ უფრო მეტი უფლებები და შესაძლებლობები ეძლევა თვით კოლექტივს. მაგალითად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურებისას კომუნისტის კანდიდატურას საგულდაგულოდ განიხილავენ, უწინარეს ყოვლისა, თანამოსაქმე ამხანაგები. ეს მას საშუალებას აძლევს ადამიანებთან უშუალო მუშაობისას ხედვდეს ხელმძღვანელობის მთავარ ბერკეტს, დადებით გავლენას ახდენს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითობაზე, ხელს უწყობს შრომითს კოლექტივებში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას.

სექციების სხდომებზე მოიყვანეს მაგალითები კადრების პარტიული ატესტაციის, ხელმძღვანელ მუშაკებთან გასაუბრების პრაქტიკიდან, განიხილეს ყველა ნამდვილ ორგანიზატორსა და აღმზრდელს უნდა ახასიათებდეს არა მარტო მაღალი ზნეობრივი თვისებები და პროფესიული კომპეტენტურობა, არამედ აგრეთვე ღრმა იდეური მრწამსი, პოლიტიკური წრთობა. ამას ემსახურება მარქსისტულ-ლენინური მომზადების სისტემა, რომელიც მოიცავს მუშების, კოლმეურნეების, საკეციალისტების, მეცნიერების ყველა კატეგორიას — სკკპ წევრობის კანდიდატებით, ახალგაზრდა კომუნისტებით დაწყებული და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებით დამთავრებული.

უხმაბს რა ერთმანეთს ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, უსადაგებს რა ამ მუშაობაში შეძენილ გამოცდილებას თითოეული კოლექტივის ამოცანებს, პარტიული სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრებასთან თეორიის ორგანულ კავშირს. დღესაც აქტუალურია ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ სწავლა, სწავლა და სწავლა საჭიროა ისე, რომ მეცნიერება მკვდარ ფორმად კი არ რჩებოდეს, არამედ ნამდვილად ჯდებოდეს, იყოს გამჯდარი ძვალ-რბილში, გარდაიქმ ნ ე ბ ო დეს საქმიანობის შემადგენელ ელემენტად. პარტიული სწავლების პრაქტიკული მიმართულების ამაღლება განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობის ზრდაზე მისი გავლენის გაძლიერებას, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისადმი კონტროლის ორგანიზაციის პრაქტიკის შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ერევნის მათემატიკური მანქანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ს. გ. ფილიპოსიანმა, სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა ვ. ი. ბეგინინმა, აზერბაიჯანის კომპარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. მ. ალიევმა, სკკპ ვლადიმირის ოლქის გუს-ხრუსტალნის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ა. ფროლოვმა.

თავის მოხსენებაში კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა აღნიშნა: საზოგადოებაში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პირობებში განუზომლად იზრდება მომთხოვნელობა კომუნისტი ხელმძღვანელებისადმი. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ძალების სწორ განაწილებას იქ, სადაც ითვისებენ მოწინავე გამოცდილებას, ნერგავენ მუშაობის ახალ ორგანიზაციას, მეცნიერების მიღწევები ხდება საწარმოო პროცესის ნაწილი. ყოველივე ეს შეიძლება მივენდოს მხოლოდ იმ კომუნისტს, რომელსაც გარდა იმისა, რომ აქვს მაღალი კვალიფიკაცია, ისიც შეუძლია, რომ დაარწმუნოს ადამიანები, აღანთოს ისინი თავისი ინიციატივით, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით.

მასების სოციალური აქტიურობის განვითარების გზით

სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით შრომითი კოლექტივების სოციალური აქტიურობის განვითარებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს კონფერენციის მონაწილეებმა გრდაბანში გამართულ სექციის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა თემას — „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი შრომითი კოლექტივების სოციალური აქტიურობის ამაღლებაში“.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისადმი კონტროლის ორგანიზაციის პრაქტიკის შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ერევნის მათემატიკური მანქანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ს. გ. ფილიპოსიანმა, სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა ვ. ი. ბეგინინმა, აზერბაიჯანის კომპარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. მ. ალიევმა, სკკპ ვლადიმირის ოლქის გუს-ხრუსტალნის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ა. ფროლოვმა.

თავის მოხსენებაში კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა აღნიშნა: საზოგადოებაში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პირობებში განუზომლად იზრდება მომთხოვნელობა კომუნისტი ხელმძღვანელებისადმი. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ძალების სწორ განაწილებას იქ, სადაც ითვისებენ მოწინავე გამოცდილებას, ნერგავენ მუშაობის ახალ ორგანიზაციას, მეცნიერების მიღწევები ხდება საწარმოო პროცესის ნაწილი. ყოველივე ეს შეიძლება მივენდოს მხოლოდ იმ კომუნისტს, რომელსაც გარდა იმისა, რომ აქვს მაღალი კვალიფიკაცია,

წინა ხაზზე, ცხოვრების შუაგულში

(დასასრული)

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მხარეზე.

პარტიის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა, თქვეს კონფერენციის მონაწილეებმა, მუშაობა პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საჭიროება, როგორც ამ დარგში მუშაობის ხასიათი და მიმართულებანი განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, შეიქმნას ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც სტიმულს მისცემენ ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივასა და თაოსნობას. და, პირიქით, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვალად უნდა ახდენდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზეც, და სამსახურებრივ მდგომარეობაზეც —და მორალურ ავტორიტეტზეც.

საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერება, მაღალი შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვისათვის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა ფორმის, მორალური და მატერიალური სტიმულირების სხვადასხვა ფორმების გამოყენება — აი რა საკითხები იდგა სექციის ყურადღების ცენტრში.

დისციპლინა წარმოუდგენელია, თუ თითოეულს შეგნებული არ ექნება პასუხისმგებლობა საქმის ბედისათვის. პასუხისმგებლობის ამ გრძნობის ჩანერგვა კი ხდება პირობებში, როცა თითოეული მუშაკი შეიგნებს, რომ არის ნამდვილი ბატონ-პატრონი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე სამეურნეო ექსპერიმენტები, კერძოდ, ფოთის ექსპერიმენტი, რომლის დროს პარტორგანიზაციამ შეძლო შეეერთებინა მუშაკთა დისციპლინიანობა და მეურნეობრივი დაინტერესება შრომის შედეგებით.

შრომის დისციპლინის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა კომუნისტის პირადი მაგალითი. მაღალია ამ საქმეში პარტიული კრებების როლი, უდიდესია სოციალისტური შეჯიბრების, ეკონომიკური განათლების გაუჯობესების აღმზრდელობითი შესაძლებლობანი. მეცადინეობაზე აღინიშნა: შესრულების კონტროლი და შემოწმება პარტიული, სახელმწიფო, საგეგმო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შედეგიანი შემადგენელი ნაწილია, მოიყვანეს ადმინისტრაციის მუშაობისადმი ქმედითი კონტროლის მაგალითები.

მახაჩყალის გაჯიევის სახელობის ქარხანაში, ვოლგის საავტომობილო ქარხანაში, ლენინგრადის ე. ი. ლენინის სახელობის ოპტიკურ-მექანიკურ გაერთიანებაში, დუშანბეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის „ტაჯიკტექსტილმანქანის“ ქარხანაში, რიგისა და ვორონეჟის მთელ რიგ საწარმოებში ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიათა უფლებებისა და შესაძლებლობების, პარტიული მუშაობის სხვა ფორმების უკეთ გამოყენების მეოხებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მიაღწიეს მაღალ შრომითსა და საწარმოო დისციპლინას.

პარტია წარმოების ორგანიზატორებისაგან მოითხოვს, რომ ისინი სრულყოფდნენ ხელმძღვანელობის სტილს მეცნიერულ საფუძველზე, თავიანთ ცოდნას გადასცემდნენ მუშებს, ასწავლიდნენ მათ შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, ტექნიკისა და მატერიალური რესურსებისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას.

ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის, სხვა ქალაქების ბევრი საწარმოს პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაამთავრა კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსები, ტექნიკურ-ეკონომიკური ცოდნის უნივერსიტეტები. სასიხარულოა, რომ ასეთი კურსები, უნივერსიტეტები, სემინარები ხელმძღვანელი კადრების აღზრდის ქმედითი ფორმა გახდა, ხელს უწყობენ მათ მიერ ეკონომიკური ცოდნის ღრმად დაუფლებას. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მათ საწარმოებში, რომლებსაც ისინი მეთაურობენ, სამუშაო პროცესი გახადონ უფრო ზუსტი, აამაღლონ ტექნოლოგიური დისციპლინა.

პარტიული ორგანიზაციების, თითოეული კომუნისტის მნიშვნელოვანი, პასუხსაგები საქმე უნდა გახდეს ბრძოლა იმისათვის, რომ საწარმოებში, მეურნეობებში არ იყოს ჩამორჩენილი უბნები, საამქროები, ბრიგადები, რომ თითოეული მუშა ან კოლმეურნე ასრულებდეს თავის ნორმას. მოიყვანეს მაგალითები კიევის, კიშინიოვის, ბრესტის, დონეცკის, ვორონეჟის, ტოლიატის, სხვა ქალაქების შრომითი კოლექტივების ცხოვრებიდან, სადაც გაიშალა მოძრაობა ჩამორჩენილებისა და უდისციპლინოების გარეშე მუშაობისათვის. მივაღწიოთ ამას ყველგან — ნიშნავს უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მომთხოვნელობისა და მომკითხველობის, შრომის, საშემსრულებლო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათმა ბიუროებმა და პარტიულმა კომიტეტებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ ორგანიზაციული მუშაობის პრაქტიკულად გამართლებული ისეთი მეთოდები, როგორიცაა მკაცრი კონტროლი მუშაკების მიერ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებისადმი, კომუნისტთა რეგულარული ანგარიშგება პარტიულ კრებებზე, აქტიური მონაწილეობა კადრების შერჩევაში, მომზადებასა და განაწილებაში.

სექციის სხდომაზე საკითხთა ესოდენ ფართო წრის განხილვა მოხერხდა იმის მეოხებით, რომ შინაარსისაენ ინფორმაციებით გამოვიდნენ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ნ. კ. დიბენკო, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. გულუა, უკრაინის კომპარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. პ. ერხოვი, ბელორუსიის კომპარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ვ. გრიგორიევი, ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ვაგრისი, მახაჩყალის გაჯიევის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი მ. ბ. კაშტანოვი, მოლდავეთის კომპარტიის კიშინიოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. კიკტენკო, სკკპ ტიუმენის ოლქის ნოვოურენგოის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. თ. კოზლოვი, ქალაქ ტოლიატის ეოლგის საავტომობილო ქარხნის პარტკომის მდივანი ი. გ. კარნაუხოვი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ი. პავლენკო, სკკპ ომსკის ოლქის სტრუეევსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ზორკალცევი, ლენინგრადის ვ. ი ლენინის სახელობის ოპტიკურ-მექანიკური გაერთიანების პარტკომის მდივანი მ. ი. ბეზბოროდოვი, ქალაქ დუშანბეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ქარხანა „ტაჯიკტექსტილმანქანის“ პარტკომის მდივანი ხ. აბდულოევი, სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ა. ს. ეფიკოვი, საწარმოო გაერთიანება „ბრიანსკის მანქანათმშენებელი ქარხნის“ პარტკომის მდივანი ვ. ვ. ზენჩენკო.

მუშაობის სტილი — ლენინური!

„მასებთან პირველადი პარტიული ორგანიზაციის კავშირის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა“ — ამ თემის განხილვამ წარმოაჩინა პარტიული მუშაობის როგორც შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

სექციის მუშაობას უძღვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე პ. კ. ლუჩინსკი.

სექციის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების სექტორის გამგე ვ. პ. ვალუევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ვ. პ. პოლიანიჩკო.

სხდომის გახსნისას პარტიის ქ. თბილისის საქარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ვ. კაპანაძემ ილაპარაკა რაიონში შექმნილი სამეურნეო-კომერციული გაერთიანებისა და იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს პარტიის რაიკომი კონტაქტებს სამრეწველო საწარმოებთან. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანები გულისხმობენ პარტიული მართვის ყველა რგოლის, მათ შორის, პირველადი ორგანიზაციების მუშაობის სტილის სრულყოფას.

სექციის სხდომებზე მასებთან პირველადი ორგანიზაციათა კავშირის განმტკიცების ამოცანები განიხილეს იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობის უზრუნველყოფის ფართო კონტექსტით.

მასებში პარტიული მუშაობის ხელოვნება გულისხმობს ადამიანებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას და ამავე დროს უნარს — კომპლექსურად გასწვდე ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომელიც მათ აღელვებთ. მხოლოდ ასეთი მიდგომით თუ უზრუნველვყოფთ ესოდენ საჭირო უკუკავშირს.

ამ სექციის სხდომის მონაწილეებმა ყოველმხრივ და ღრმად განიხილეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების, პარტიული დავალებების, როგორც მასებთან კავშირის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი ფორმის, პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის დაყენების საკითხები, პარტიული გადაწყვეტილების მაღალი ავტორიტეტის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

სხდომის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა აგრეთვე იმ მუშაობის გამოცდილება, რომელსაც პირველადი პარტორგანიზაციები ეწევიან საბჭოების დეპუტატი კომუნისტების, აგრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებში არჩეული კომუნისტები. შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელობაში ერთმმართველობისა და კოლეგიურობის პრინციპების შეხამების, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებათა ამზრდელობითი ზემოქმედების შესახებ ასევე ილაპარაკეს მშრომელებთან ცოცხალი, ქმედითი კავშირის გაძლიერების თვალსაზრისით.

სექციის სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ ლენინგრადის ოლქის ტოსნოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ო. ფიოდოროვი, უკრაინის კომპარტიის ბუსკის რაიკომის პირველი მდივანი პ. დ. ნაზარჩუკი, სკკპ ფსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ულიანოვი, მინსკის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანი ვ. გ. გალკო, სკკპ ორენბურგის ოლქის ორსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კრივიაკინი, სკკპ მოსკოვის კუნცევოს რაიკომის პირველი მდივანი ი. მ. გოლოვკოვი, მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის პარტკომის მდივანი გ. ა. ქოროღლიშვილი, ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ბ. ბალბაკოვი, ვორონეჟის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ პარტკომის მდივანი ა. ზიუზიუკოვი, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. გ. ზახარჩენკო, სკკპ ჩაჩნეთ-იხგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გროზნოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ი. სემიონოვი, უზბეკეთის კომპარტიის ნავოის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ი. ალაპარაკეს მშრომელებთან ცოცხალი, ქმედითი კავშირის გაძლიერების თვალსაზრისით.

შრომითი კოლექტივების საბრძოლო ავანგარდი

როგორ ახორციელებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რა არის გაკეთებული რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მებრძოლობის შემდგომი ამაღლების, მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში დისციპლინის განმტკიცების, მუშაობის სტილის სრულყოფის საქმეში და ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკურ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. გ. ზახარჩენკო, სკკპ ჩაჩნეთ-იხგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გროზნოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ი. სემიონოვი, უზბეკეთის კომპარტიის ნავოის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ი. ალაპარაკეს მშრომელებთან ცოცხალი, ქმედითი კავშირის გაძლიერების თვალსაზრისით.

სექციის სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ ლენინგრადის ოლქის ტოსნოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ო. ფიოდოროვი, უკრაინის კომპარტიის ბუსკის რაიკომის პირველი მდივანი პ. დ. ნაზარჩუკი, სკკპ ფსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ულიანოვი, მინსკის სატრაქტორო ქარხნის პარტკომის მდივანი ვ. გ. გალკო, სკკპ ორენბურგის ოლქის ორსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კრივიაკინი, სკკპ მოსკოვის კუნცევოს რაიკომის პირველი მდივანი ი. მ. გოლოვკოვი, მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის პარტკომის მდივანი გ. ა. ქოროღლიშვილი, ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ბ. ბალბაკოვი, ვორონეჟის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ პარტკომის მდივანი ა. ზიუზიუკოვი, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. გ. ზახარჩენკო, სკკპ ჩაჩნეთ-იხგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გროზნოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ი. სემიონოვი, უზბეკეთის კომპარტიის ნავოის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ი. ალაპარაკეს მშრომელებთან ცოცხალი, ქმედითი კავშირის გაძლიერების თვალსაზრისით.

სურათზე: კონფერენციის მონაწილენი თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოისმინეს ინფორმაცია „ლენინგრადი ოფიციალური ინფორმაციის“ ლენინგრადის ოლქოვნელ სამეურნეო ოლქოვნელ ოფიციალური ინფორმაციის ამაღლების სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილებისა და ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი ცენტრის შექმნის შესახებ.

გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ უკანასკნელ ხანს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში გაჩნდა ბევრი სიახლე, სუფევს შემოქმედებისა და საქმიანი მიდგომის, კოლექტიური ძიების სულისკვეთება. უფრო საგნობრივად ხელმძღვანელობენ პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული ლენინური პრინციპებისა და პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და საყოველთაო დანერგვისათვის. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. უნდა გაჩაღდეს უფრო აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასების დასაინტერესებლად პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს პირველადი პარტორგანიზაციების როლი წარმოების ყოველ უბანზე, მართვის თითოეულ რგოლში სახელმწიფო, შრომის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, მუშაობაში ორგანიზებულობისა და გერგილიანობის უზრუნველყოფის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, სასურსათო პროგრამის შესრულებისადმი აუარადღების გაძლიერების საქმეში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღესდღეობით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას, ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობას, პირველადს პარტორგანიზაციათა მთელი ძალებისა და აუარადღების კონცენტრაციას ადამიანებთან ცოცხალ მუშაობაში. (საქინფორმი).

გამოცდილება და პრაქტიკა:

სიტყვას იღებს პირველადი პარტორგანიზაცია

— **პარტკომის** თითოეული წევრი მეცადინეობას ატარებს ახალგაზრდა კომუნისტის საქარხნო სკოლაში. ასე ვზრდიდ ... ორგანიზაციების კომუნისტთა პერსონალურ პასუხისმგებლობას სკკპ რიგებში შესასვლელად ახალგაზრდობის მომზადებისათვის. გამოცდილი პარტიელებისა და ახალგაზრდა მუშების ერთობლივ საწარმოო საქმიანობას ემატება არაფორმალური კონტაქტები მუშათა ცვლის იდეურ-პოლიტიკური წრთობის სფეროში.

— ქარხნის რეკონსტრუქცია ჩვენი მთავარი საზრუნავია. არასტანდარტული მოწყობილობის დამზადება სამოდერნიზაციო უბნებისათვის მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წახნაგია. ბრიგადამ, რომელიც ამ საქმეს ასრულებს, შექმნილია პარტიული ჯგუფი. წარრეკ მისი მეცადინეობით შევძელით ორჯერ შეგვემცირებინა მოწყობილობის დამონტაჟების ვადები...

ეს ორი მაგალითი, რომლებიც თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. გუჯაბიძემ დაასახელა, — კონკრეტული გამოცდილების ორი შემადგენელი ნაწილი — დაუყოვნებლივ ჩაინიშნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ბევრმა მონაწილემ, რომლებიც სექციური მეცადინეობის შემდეგ ეწევიან თბილისის, რუსთავის, გარდაბნის რაიონის მთელ რიგ საწარმოებს, დაწესებულებებს, მეურნეობებს.

თორმეტმა ორგანიზაციამ — კონფერენციის მომწყობებმა მათ საბაზო ორგანიზაციები უწოდეს — კონფერენციის მონაწილეებს შესთავაზეს პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ასახავს სექციურ მეცადინეობებზე განხილულ დებულებებს. „ჩვენი ცოდნა სფეროს წაადგეს, — ასეთი მეტაფორა გაისმა ერთ-ერთ მეცადინეობაზე, — რაც უფრო დიდია სფერო, მით უფრო მეტი აქვს სინამდვილესთან შეხების წერტილი“. რესპუბლიკის პირველადი პარტორგანიზაციების მრავალფეროვანმა სინამდვილემ მნიშვნელოვნად გაადიდა ინფორმაციების მოცულობა სტუმრებისათვის საინტერესო თემებზე.

მაგალითად, „მიონში“ მათი ყურადღება მიიპყრო ამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობამ, რომლის მიზანია მჭიდროდ დაუკავშიროს ერთმანეთს კოლექტივების მეცნიერული და საწარმოო შრომა, ამის მეოხებით აქ 6-7 თვით შეამციროს ახალი ნაწარმის შემუშავებისა და გამოშვების ვადები.

— ჩვენი ინიციატივით, — თქვა პარტკომის მდივანმა ზ. პაპავამ,— საწარმოო საამქროები გაერთიანებული არიან შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ქვეგანყოფილებებთან, შექმნილი გვაქვს სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, თითოეულში მოქმედებს პარტორგანიზაცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი, სადაც ყოველი მეათე სტუდენტი კომუნისტია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ამ კატეგორიის სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის პრაქტიკას.

თანატოლებს შორის კომუნისტ სტუდენტთა მუშაობის გაკეკურება, — აღნიშნა სტუმრებთან საუბარში პროექტორმა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ა. სილაგაძემ, — ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. როგორც წესი, პარტიის წევრი სტუდენტები ჩვენთან წარმოებიდან ან არმიიდან მოდიან. მათი დიდი ცხოვრებისეული, პროფესიული, სოციალური გამოცდილება აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის „ქსელში“.

თელეთის საექსპერიმენტო საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში დიალოგს წინ უძღოდა ტელევიზიის სეანსი. სპეციალურ საოპერატორო ოთახში ტელევიზორის ეკრანზე სტუმრებს უჩვენეს ტექნოლოგიური პროცესები, რომლებსაც იყენებენ მეურნეობის მეცხოველეობის განყოფილებაში.

— მართვის ავტომატიზებული სისტემა ტელევიზიის მოკავშირეა, — თქვა პარტკომის მდივანმა ზ. ნოზაძემ. — იგი საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კომუნისტთა წინადადებით შემუშავებული მიზნობრივი პროგრამის განხორციელებული ნაწილია. პარტკომმა კონტაქტები დაამყარა საქართველოს კ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტბიუროსთან. გაერთიანებულ სხდომაზე დავამტკიცეთ ჩვენთან ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ორმხრივ ღონისძიებათა საშწლიანი გეგმა. როგორც ხედავთ, ბევრი რამ უკვე გავაკეთეთ.

გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში კონფერენციის მონაწილეთა თვალთახედვის არეში აღმოჩნდა საშუაო ადგილზე თითოეულის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი. საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინდივიდუალურ მუშაობას, ჩააბა საბჭოთა მეურნეობის მუშათა ოჯახები შრომითს მეტოქეობაში. აი შედეგიც: გაიზარდა საერთო დაინტერესება ახალი საბოლოო შედეგების მიღწევით. ახლა უკვე 360 კომლი მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში.

ამავე რაიონში სტუმრები გაეცნენ სამონტაჟო ნამზადების ქარხნის დამზმარე მეურნეობას.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების გეგმა. ამ მიზნით პარტიული კომიტეტი დაეხმარა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას კავშირი დაემყარებინა მოსკოვის კ. სკრიაბინის სახელობის სავეტერინარო აკადემიასთან, მოსკოვის კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტთან. ამ დიდ სამეცნიერო დაწესებულებებში უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ასწავლიან საქართველოდან ჩასულ ასპირანტებს. სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის ხარისხისადმი პარტკომის კონტროლმა კარგი შედეგები მოგვცა. ახლა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ყოველი მესამე სადიპლომო ნაშრომი საუკეთესო შეფასებას იღებს.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თავდაპირველად საუბარმა ნაკლებად სასიამოვნო მმართველება მიიღო. სტყვა ჩამოვარდა კოლექტივის ხანგრძლივ ჩამორჩენაზე.

— 1977 წელს აქ დაიწყო რეკონსტრუქცია, რომელიც გაჭიანურდა და მთელი საწარმოო გეგმა ჩაიშალა, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მეფოლადე ო. ლომიძემ, რომელმაც სტუმრებს გააცნო მარტენის საამქრო. — კომუნისტებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს მუშაობის სწორედ ამ უბანს. ახლა მარტენი სტაბილურად მუშაობს. მთელ მეცადინეობას ვახარდეთ უბანს, სადაც ყველაზე მეტი გაჭირვებაა, ვიჩენდეთ ინიციატივას მთავარში — ეს არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური მუშაობის სტილი.

მეცადინეობის კონკენტრაციის მეთოდით, რომელიც შეიმუშავა და ფართოდ დანერგა პრაქტიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შეიარაღებულია ქარხნის ყველა ძირეული პარტიული რგოლი. რუსთავის მეორე საწარმო — ქიმიური ბოჭკოს ქარხანა უკვე ათი წელია სტაბილურად მუშაობს. „ქარხნის კოლექტივის წარმატებათა საფუძველია სწორი საკადრო და სოციალური პოლიტიკა“, — ასეთი დასკვნა გამოიტანეს კონფერენციის მონაწილეებმა, რაც გაეცნენ საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობას.

ქარხანაში მინიმუმამდეა შემცირებული კადრების დენადობა: აქ მკვიდრდება ახალგაზრდების 90 პროცენტზე მეტი.

4 ათასამდე კაცი მუშაობს აქ, ამასთან უმრავლესობას ქალები შეადგენენ. პარტკომის წინადადებით, იმათთვის, ვისაც ბავშვები ჰყავს, დაწესებულია ოთხსაათიანი სამუშაო დღე. საბინაო-საყენაბლოატაციო კახტორებთან და მიკრორაიონების საზოგადოებრივ საბჭოებთან ერთად ბევრი რამ გაკეთდა დიასახლისების სამუშაოზე მიზიდვისათვის მათთვის მოსახერხებელ საათებში.

ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის პარტკომში კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს, როგორ მოქმედებენ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე შექმნილი შტაბები. მათი მეოხებით შეძლეს ვადამდე აემუშავებინათ მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედი და საგლომერაციო ფაბრიკა, ქიმიური ინდუსტრიის მთელი რიგი ობიექტები.

წარმოებაში სოციოლოგიის სამსახური რგოლია უმაღლესი საწარმოო შედეგების მიღწევის ღონისძიებათა სისტემისა, რომელიც შეიმუშავეს თბილისის დმიტროვის სახელობის სავიაციო ქარხანაში. მიმდინარე წელს დამდეგს ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში იშვა ინიციატივა: „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“, ავიამშენებლებმა გამოძებნეს ახალი შესაძლებლობანი, რათა აღმოფხვრან არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა, გასაზიარეს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში უფრო მაღალი მიჯნების მიღწევის საშუალებანი.

ქარხნის პარტკომმა სტუმრების ყურადღება მიაპყრო უდიდესი საინჟინრო-ტექნიკური წამოწყებების პოლიტიკური უზრუნველყოფის მრავალფეროვან გამოცდილებას.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუმრებს გააცნეს უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერული მიღწევების გამოფენის ექსპონატები. ახალი ნამუშევრების დანერგვისაგან მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შარშან თორმეტი მილიონი მანეთი შეადგინა. მეცნიერთა და სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ ყველა სიახლეს იყენებენ წარმოებაში. მათ დანერგვას მუდმივ კონტროლს უწევს ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი.

რესპუბლიკის მთელ რიგ დიდ ქარხნებში ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ხელშეწყობით გახსნილია უმაღლესი სასწავლებლის კათედრების ფილიალები სამ სამრეწველო ობიექტში მოქმედებს საცდელ-საწარმოო უბნები. ასეთი პარტნიორობა ტემპულს აძლევს მეცნიერულ საქმიანობას: უკანასკნელ ხუთწლეულში წარმოებათა განაცხადებით ინსტიტუტში შესრულდა ექვსასზე მეტი სამეცნიერო თემა. სამას გამოგონებას მიეცა საავტორო მოწმობა.

მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ წარმოებაში პერსპექტიული ნამუშევრების დანერგვისადმი პარტიული ორგანიზაციის კონტროლის საყურადღებო პრაქტიკას. ასეთმა კონტროლმა დაიჭარა თბილისის „მიკროძრავის“ ქარხნისათვის მართვის ავტომატიზებული სისტემის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის გადაცემა.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. პირველადი პარტიული ორგანიზაცია. და დისციპლინა. პარტიული კონტროლი. ცვლის აღზრდა. ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი. შრომის ნაყოფიერება... ვერ ჩამოთვლი საკითხებს, რომლებიც პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების სფეროშია. მისი საქმიანობა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება. აი, რატომ იყო, რომ ღია კარის დღე კონფერენციის საბაზო ორგანიზაციებში ესოდენ მდიდარი იყო კონკრეტული პრაქტიკის საქმიანი განხილვით. (საქინფორმი).

ლაპარაკობენ საკავშირო კონფერენციის მონაწილენი

საერთო ამოცანები

თ. მ. ბროვკინი,

სკკპ კურსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე

პროგლემები, რომლებსაც განვიხილავთ კონფერენციაზე, მრავალფეროვანი და აქტუალურია. დისციპლინა ამ სიტყვის უფართოესი გაგებით, კადრების შერჩევა და განაწილება, პარტიული მუშაობის ფორმების, მეთოდებისა და სტილის სრულყოფა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შესაბამისად და სხვა მნიშვნელოვანი თემები კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

ჩვენს ოლქში ასი ათასზე მეტი კომუნისტია. გასაგებია, რომ ჩვენთვის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოთ ხუთწლედის შესამე წლის, შემდეგ კი მთლიანად ხუთწლედის ვალდებულებათა შესრულება. პროდუქციის მოცულობისა და რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმები წარმატებით შესრულეს მრეწველობის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ტრანსპორტი, მომსახურების სფერო, კავშირგაბმულობ

რესპუბლიკის მეცნიერები თავიანთ ამოცანად მიიჩნევენ საქართველოს მეცნიერული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის ხარისხის გაუჯობესებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებთან შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცებას. შარშან სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო გამოკვლევების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი შეფასებულია 53 მილიონ მანეთად.

მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს მეცნიერთა მუშაობის შედეგები და 1983 წლის ამოცანები განიხილეს თბილისში, 4 აპრილს გამართული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრების მონაწილეებმა.

თეორიიდან-პრაქტიკისაკენ

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის

საერთო წლიური კრება

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ვ. არეშიძის, ა. ბოჭორიშვილის, ი. დოლიძის, ნ. კეცხოველის, ვ. მახალდიანის ხსოვნას.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. გორგილაძის მოხსენება „კარლ მარქსი და თანამედროვე ეპოქა“.

1982 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. სეხნიაშვილმა.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ აკადემიისა და მისი დაწესებულებების საქმიანობა 1982 წელს მიზნად ისახავდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საკვანძო სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტას. თავისი გამოკვლევებითა და ნამუშევრებით ისინი ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის ტემპის დაჩქარებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანას, ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას.

კრებაზე დაწვრილებით ილაპარაკეს ქართველ მეცნიერთა იმ გამოკვლევებზე, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა შრომითს კოლექტივებთან ერთად შესრულებული სამუშაოების თემების ჩამოთვლა და გეოგრაფია მოწმობს, თუ რა მრავალმხრივია აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივების შემოქმედებითი ძიება.

საქართველოს მეცნიერები მონაწილეობენ 24 საკავშირო და 24 რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში.

ფართოდ განვითარდა კვლევა სასურსათო პროგრამის დარგში. ამას ითვალისწინებს აკადემიის 18 ინსტიტუტის კოლექტივების მეცადინეობა, რომლებიც 77 თემას ამუშავებენ.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის საეტაპო მნიშვნელობა, რომელმაც განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მაგისტრალური ხაზი, დასახა მისი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი. ბევრი მათგანი დღეისათვის უკვე რეალიზებულია, მაგრამ VI პლენუმზე წამოჭრილი მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ შორს არის პრაქტიკული რეალიზაციისაგან. კერძოდ, პლენუმზე ითქვა, რომ აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა სამეურნეო ანგარიშით მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და სხვა ტექნიკის შექმნისათვის იმუშავებენ. მისი მომსახურებით სარგებლობა შეეძლებათ არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, არამედ რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსაც.

კრებაზე აღინიშნა, რომ დღეს დიდი მეცნიერული მიღწევებიც, როგორც წესი, კოლექტიური შრომის შედეგია. ეს იმის ნიშნავს, რომ სამეცნიერო კოლექტივებს კომპეტენტურად, პროფესიულ დონეზე უნდა მართავდნენ. აქედან განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერი-ორგანიზატორის აღზრდის პრობლემა. მაგრამ აქ სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს. ამის მოწმობს ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებაში შექმნილი არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ხელს უშლის შემოქმედებითს სამეცნიერო მოღვაწეობას. ამაში უწინარეს ყოვლისა დამნაშავეა დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელსაც პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრია კოლექტივში შექმნილი მდგომარეობისათვის, თითოეული თანამშრომლის მოქალაქეობრივი პოზიციისათვის, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

მეცნიერებაში არსებული სიძნელეები, ხაზგასმით აღინიშნავდნენ კამათის მონაწილენი, შეიძლება

ვარსკვლავებთან ახლოს

მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ცად ატყორცნილ კოშკზე ოცდაათ წელზე მეტია კიაფობს მეწამული ვარსკვლავი, რომლის თითოეული ქიმი ექვსი მეტრი სიგრძისაა... ყოველ მათგანზე პატარა „მოედანია“, ვარსკვლავის შიგნით კი თავისუფლად დაეტევა 25 კაცი. წვეტი, რომელზეც ეს გიგანტი ვარსკვლავია დამაგრებული, 235 მეტრი სიმაღლისაა, ამას დაუმატეთ ლენინის გორაკები (ყველაზე მაღალი ადგილი მოსკოვში) და ნათელი გახდება, რომ იგი გაცილებით მაღალია, ვიდრე ოსტანკინოს კოშკი.

წლების განმავლობაში ვარსკვლავმა დაკარგა თავისი სიკაშკაშე და საჭირო გახდა მისთვის ადრინდელი ელვარების მინიჭება.

ეს საქმე „მოსკოვმრეწვმონტაჟის“ ტრესტის სამშენებლო სამმართველოს №197 მექანიზაციათა სპეციალიზებულმა ბრიგადამ ითავა, რომელიც მხოლოდ მაღალართულიან სახლებსა და გიგანტურ სამრეწველო ობიექტებს ემსახურება. ბრიგადის ხელმძღვანელობს ჩვენი თანამემამულე ვალტერ ძიგუა.

აი რა გვითხრა მან: — ის იყო, მთავრობის კომისიას ჩავაბარეთ რკინაბეტონის კონსტრუქციების გიგანტი ქარხანა, რომ დაგვირეკეს და გვთხოვეს, სასწრაფოდ მივსულიყავით მოსკოვის უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში. ჩემს ბრიგადაში, რომელიც კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს, 10 მუშაა. ყურადღებით დავათვალიერეთ ადგილდებარეობა, სადაც რთული სამუშაო გველოდა. ლიფტით ავედით 200 მეტრ სიმაღლეზე, მერე ფეხით მოგვიხდა მიხვეულ-მოხვეული კიბეებით კიდევ 35 მეტრის ავლა. ამის შემდეგ გასასვლელი ისე ვიწრო აღმოჩნდა, რომ დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ვარსკვლავს. საღებავი თითქმის მთლიანად გახუნებულიყო, დროს არც სარკეები დაეხდო, ეტყობა ქარმა, თოვლმა, წვიმამ და მზის ენერგიამ თავისი ქნა. საჭირო იყო სწრაფი აღდგენითი სამუშაოების დაწყება. გადავწყვეტეთ, ზევით მხოლოდ ოთხ კაცს ემუშავა. მიხარია, რომ ეს მეტად პასუხსაგები დავალება წარმატებით შევასრულეთ, — დაასრულა საუბარი ბრიგადირმა.

გაზეთი „იზვესტია“ ფართოდ გამოეხმაურა მომხდარ ფაქტს. წერილში „ვინ ანთებს ვარსკვლავებს“ იგი წერდა: „აქ სულ პატარა მოედანზე ორი თვის განმავლობაში, ქარსა თუ წვიმაში, თოვლსა თუ ყინვაში ვალტერ ძიგუას ბრიგადა აწარმოებდა უნიკალურ სამუშაოებს. დიდმა სიმაღლემ, ამწე მექანიზმების გამოყენების შეუძლებლობამ და სხვა სირთულეებმა, რომლებიც მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდათ, თითქმის შეუძლებელი გახადა მონტაჟი. საკმარისი იყო გამოეცვალათ ძველი სარკე, რომ წვეტის სიცარიელეში მამაც მშენებლებს არნახული სიძლიერით დატეტკეტოდათ ქარი. საჭირო იყო ახალი სარკეების დადგმა და დამაგრება, მაგრამ ქარი მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. ეს დიდ თავდადებასა და სიმამაცეს მოითხოვდა“...

ფაქტიურად შესრულდა გიგანტური სამუშაო: 235 მეტრ სიმაღლეზე აიატანეს ექვსი ტონა სამშენებლო მასალა და ამდენივე უკან ჩამოატანეს. ეს ყველაფერი ხდებოდა ხელით და უსაფრთხოების ტექნიკის უზუსტესი დაცვით... სულ უმნიშვნელო დაუფიქრებელი მოძრაობაც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო...

— არასდროს დამავიწყდება ჩემი პირველი გასვლა ვარსკვლავის ქიმზე, — გვეუბნება ვალტერ ძიგუა, — მიუხედავად იმისა, რომ საიმედოდ ვიყავი მიბმული, ძარი აქეთ-იქით მახეთქავდა. გადავიხედე და სუნთქვა შეეკრა ეშინოდა ნარნარად ... ლრღუნებები, ისეთი თავბედნიერება შემექმნა, თითქოს, ხელით დაეწვდებოდი მათ. სადღაც შორს, მოჩანდა მოსკოვი თავისი ფართო პროსპექტებით, მრავალსართულიანი ცათამბჯენებითა და ეკლესია-მონასტერთა ოქროცურვილი გუმბათებით...

ვალტერ ძიგუა დაჯილდოებულია მედლით „შრომითი გმირობისათვის“... იგი ოჩამჩირეში დაიბადა, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, დაიწყო მუშაობა. 1970 წლიდან კი მოსკოვში ცხოვრობს. დღეს მისი ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა „მოსკოვმრეწვმონტაჟის“ ტრესტში.

გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

— ახლა საით? — ვკითხე და მანქანამდე მივაცილე, რომელიც ბრიგადის წევრები უცდიდნენ. გამოიღმა და მეგობრებს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— ახლა ისევ იქით, სულ ახლოს ვარსკვლავებთან! — მითხრა და მანქანა თვალს მიეფარა...

დ. მაჰაბარინი.
„კომუნისტის“ სპ. კორ.

8 აპრილი

უსპორტი

ფაქტები მოვლენები

საკლესი იუფყეება

● ჩეხოსლოვაკია

სხდომა დამთავრდა

პრაღა. მუშაობა დაამთავრა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგმა სხდომამ. სხდომამ განიხილა იმ წინადადებების და ინიციატივების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირმა წამოაყენა ბირთვული ომის თავიდან აცილების, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობისა და განმტკიცების, ევროპის კონტინენტზე და. მთელ მსოფლიოში განიარაღების, უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების პრობლემათა გადაჭრის მიზნით.

ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც მონაწილეობდნენ კომიტეტის სხდომაში.

მიღებამ გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

პრაღა. პრაღიდან სამშობლოში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაში.

პრაღის აეროპორტში ა. ა. გრომიკო გააცილეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ხნოუპეკმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ა. პ. ბოტვინი.

მოსკოვში აეროდრომზე ა. ა. გრომიკოს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ვ. გრიშინი, სხვა ოფიციალური პირნი.

● ნიკარაგუა

ვერაგული მკვლელობა

მანაგუა. როგორც ნიკარაგუის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, 6 აპრილს აქ უცნობმა პირებმა მხეცურად მოკლეს სალვადორის რევოლუციური მოძრაობის თავალსაჩინო მოღვაწე, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გაერთიანებული რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრი მელინდა ანაია მონტეხი, რომელიც ცნობილი იყო ხაბრძოლო ფსევდონიმით „ანა მარია“. შინაგან საქმეთა სამინისტრო, აღნიშნულია ცნობაში, საგულდაგულოდ იკვლევს ამ სისხლიან დანაშაულს.

სან-ხოსე. მ. ანაია მონტესის ვერაგული მკვლელობა, ნათქვამია ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის აქ გავრცელებულ განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა ჩაიდინეს. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს ჩაახშოს სალვადორელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც იბრძვის ვაშინგტონის მარionეტების წინააღმდეგ და მიმართავს ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს, კერძოდ, სისხლიან ტერორს. მამაცი პატრიოტის მხეცური მკვლელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცენტრალური ამერიკის მიმართ თავისი ავბედითი აგრესიული გეგმების განხორციელებაში მოქმედებს რეგიონის ყველაზე შავბნელ ძალებთან პირშეკვრით.

ფოტოფაქტი

ნიკარაგუა. ამ შფოთიან დღეებში, როცა გრძელდება სომოსელთა ბანდების შეიარაღებული ინტერვენცია, ნიკარაგუელი ხალხი დიდ სიფხიზლეს და მობილიზებას იჩენს, რათა საკადრისი პასუხი გასცეს კონტრრევოლუციის გამოხდომებს, რომელსაც მხარს უჭერს და აიარაღებს ამერიკის შეერთებული შტატები. ათასობით მუშა, გლეხი და სტუდენტი მოხალისედ ეწერება სანდინისტური სახალხო მილიციის რიგებში, რათა იარაღით ებრძოლოს ინტერვენტებს.

სურათზე: ნიკარაგუელთა პატრული ჰონდურასის საზღვრისპირა რაიონში.

იუპი-საკლესის ფოტო.

ვითარება ლიბანში

წინააღმდეგობა ძლიერდება

ბეირუთი. ლიბანელი პატრიოტები სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ისრაელ აგრესორს. უკანასკნელი თვის მანძილზე მათ მოაწყვეს 26 წარმატებული ოპერაცია, რომელთა დროს დახოცეს და დაჭრეს დაახლოებით 30 ოკუპანტი, მოსპეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა. საიდის რაიონში პარტიზანები ჩაუსაფრდნენ ისრაელის სამხედრო სატვირთო მანქანებს და ყუმბარასტყორცნები დაუშინეს მათ. საიდაში, ტირში, ნაბათიასა და სამხრეთ ლიბანის სხვა დიდ დასახლებულ პუნქტებში საოკუპაციო გარნიზონები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან, შემოღებულია ქუჩებისა და გზების სადღეღამისო პატრულირება. ჰაერში მუდამ დაფრინავენ სამხედრო ვერტმფრინავები, საცხოვრებელ უბნებში სისტემატურად ეწყობა ჩხრეკა-დაპატიმრება.

ორი დღე-ღამეა არ წყდება ოკუპანტების რეპრესიები სოფელ აინ-ზხალტის მცხოვრებთა მიმართ, სადაც 5 აპრილს მოკლეს ორი ისრაელი ჯარისკაცი. დამსჯელთა ქვეგანაყოფებმა ჩაკეტეს სოფლისაკენ მომავალი ყველა გზა და საგულდაგულოდ ჩხრეკენ ყველა გამვლელს.

უკანასკნელ დღე-ღამეში ინტერვენტებმა მანამდე მიღწეულ ყველა შეთანხმების საწინააღმდეგოდ ბეირუთში მოაწყეს რამდენიმე საკონტროლო-გასაშვები პუნქტი.

ამავე დროს თელ-ავივი ზრდის სამხედრო ყოფნას ლიბანის მის მიერ ოკუპირებულ რაიონებში. საიდის გავლით ქვეყნის მთის რაიონებში ორ დღეს მიდიოდნენ ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების, საარტილერიო და სარაკეტო დანადგარების, საბრძოლო მასალებითა და აღჭურვილობით დატვირთული სამხედრო სატვირთო მანქანების მრავალრიცხოვანი კოლონები.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

პეკინი. როგორც ხინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობა წყვეტს შეერთებულ შტატებთან 1982-1983 წლებისათვის დასახული კულტურული გაცვლის ყველა პროგრამის განხორციელებას. მათ შორის თეატრალური დასების, ჟურნალისტთა, კინემატოგრაფისტთა დელეგაციების, სამხატვრო გამოფენების გაცვლას და ა. შ.

ეს განცხადება მოწმობს: გადაწყვეტილება მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ხელისუფლებამ ამ დღეებში პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს ჩინელ ჩოგბურთელს ხუ ნას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია: ჩინელ ჩოგბურთელთან დაკავშირებული შემთხვევა „სერიოზული პოლიტიკური ინციდენტია, ამერიკის მხარის დიდი ხნის ჩაფიქრებული გეგმისა და წინასწარგანზრახული პროვოკაციის შედეგია“. ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამერიკის მთავრობა ყურს იყრუებდა ჩინელი სპორტსმენის მიმართ მუქარის გამო, რომელსაც მიმართავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტაივანის ელჩენტებთან პირშეკრული ჯგუფი.

როგორც იუწყებიან, ჩინეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სპორტული გაცვლის შეწყვეტის შესახებ.

8 აპრილი

ჭადრაკის დაფებთან

გრძელდება მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტების მეოთხედფინალური მატჩები.

ბად-კისინგენი (გფრ). ლ. პორტიშისა (უნგრეთი) და ვ. კორჩნოის (შვეიცარია) მეხუთე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 4:1 კორჩნოის სასარგებლოდ. ლ. სემიონოვისა (სსრ კავშირი) და მ. მურეშანის (რუმინეთი) მეექვსე პარტიაც ყაიმით დასრულდა. წინ არის სემიონოვი — 4:2.

ფელდენი (ავსტრია). გათამაშდა ვ. სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რ. ჰიუბნერის (გფრ) მერვე პარტია. მეტოქენი აქაც ყაიმზე შეთანხმდნენ. საბჭოთა დიდოსტატი ლიდერობს — 4,5:3,5.

მოსკოვში გაიმართა მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეოთხე ტური. რომანიშინმა დაამარცხა ლერნერი, ტუმკოვმა — იუსუპოვი. დაზადვნენ გელერ-პეტროსიანი, ტალიანაშინაი, ფსახის-ბელიავსკი და ბალაშოვ-კარპოვი. გადაიდო აზმაიფარაშვილისა და მალანიუკის პარტია. არ შემდგარა აგზამოვ-რაზუვაევის შეხვედრა რაზუვაევის ავადმყოფობის გამო. ამ დღეს თამაშიდან თავისუფალი იყო პოლუგაევსკი. ჯერჯერობით 3 ქულით ლიდერობს ფსახისი.

ფეხბურთის ამბები

ბუენოს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეოთხე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

„ტორპედო“ (მ)-„ტორპედო“ (ქ) — 4:1.

„დინამო“ (მნ)-„დინამო“ (თბ) — 1:0.

„ჟალგირისი“-„ნეფთჩი“ — 1:0.
„შახტიორი“-„ზენიტი“ — 0:0.
„დნეპრი“-„ფახთაქორი“ — 2:1.
„ნისტრუ“-„დინამო“ (მ) — 0:3.
„ჩერნომორეცი“-„სპარტაკი“ — 1:0.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ)	4	3	1	0	7-2	7
„არარატი“	4	3	0	1	6-4	6
„ჩერნომორეცი“	3	2	1	0	3-1	5
„დნეპრი“	4	2	1	1	4-3	5
„შახტიორი“	4	2	1	1	3-2	5
„დინამო“ (მნ)	4	2	1	1	5-5	5
„ჟალგირისი“	4	1	3	0	1-0	5
„მეტალისტი“	3	2	0	1	4-2	4
„დინამო“ (მ)	4	2	0	2	4-2	4
„ზენიტი“	4	1	2	1	3-2	4
„დინამო“ (თბ)	4	1	2	1	2-1	4
„ფახთაქორი“	4	1	2	1	4-4	4
„სპარტაკი“	4	1	1	2	8-5	3
ცსკა	4	1	1	2	2-4	3
„დინამო“ (კ)	3	1	0	2	2-4	2
„ნეფთჩი“	4	0	1	3	0-3	1
„ნისტრუ“	3	0	1	2	2-10	1
„ტორპედო“ (ქ)	4	0	0	4	2-8	0

ესპანეთის გამომცემლობა „ოსეანო დე ბარსელონე“ დაამთავრა ექვსტომიანი „მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედიის“ გამოცემა, რომელიც შეიცავს 2200 გვერდს. პირველი ტომი დაეთმო ამ სახეობის სპორტის ისტორიას, მეორე — ხუთთვე კონტინენტზე მის განვითარებას, მესამე — საერთაშორისო შეჯიბრებებს, მეოთხე — ფეხბურთის ტექნიკურ ასპექტებს, მეხუთე — სახელგანთქმულ ფეხბურთელებს, მეექვსე — ფეხბურთის სოციალურ ასპექტებს. ენციკლოპედიის დამატებად წარმოდგენილია მეშვიდე ტომი, რომელშიც მოთხრობილია ესპანეთში 1982 წელს გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის წულალუბოს საქალაქო კომიტეტი და პარტიის ვეტერანთა საქალაქო საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი, 1918 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

მიზანა ანდრიას ძე
კახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



„ კ ო მ ე უ ნ ი ს ტ ი ს“
ფოტოკონკურსი
1983
დილა უზგულში.
თ. ფურცხვანიძის ფოტო.

მიჯაჭვული ამირანის ძებნაში

ოსინი სხვისგან გაკვალული ბილიკით არ გასულან ცხოვრების დიდ შარაგზაზე — გადალახეს მრავალი დაბრკოლება, სიხარულიც ბევრი განიცადეს და მწუხარებაც; მეგობრის სულის ლაბირინთებშიც ჩაიხედეს და ახლებურადაც აღიქვეს სამყარო, მოვლენები... ასე დაიწყო უკვდავება.

გურამ თიკანაძის, სანდრო გვალიას, გურამ რჩეულიშვილისა და მრავალ სხვათა პორტრეტებია დახატული ავთანდილ გუფასაშვილის წიგნში „მიჯაჭვული ამირანის ძებნაში“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ავტორის წერის სტილი, მანერა ნაკარნახევია მისსავე ნარკვევებსა თუ რეპორტაჟებში დანახულ პიროვნებათა ხასიათებით, უაღრესად ცხოვრებისეულია და მხოლოდ გარეგნულ ეფექტებს არ ეძყარება. ავტორი-ჟურნალისტი ცდილობს, ღრმად ჩასწვდეს პიროვნების სამყაროს და რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით გამოძერწოს იგი:

„რჩეულიშვილს, გეგეშიძესა და მირიანაშვილს, რომ იტყვიან, ფუთი მარილი უჭამიათ ერთად. ბევრჯერ გუტეხიათ გამხმარი პური, ერთად დაუოფაშქრავთ მწვერვალები, ერთად შეგებებიან აისს მთებში და გაუნწილებიათ სიხარული თუ ტკივილები“...

ჟურნალისტი ამ ნარკვევების კრებულში ითვალისწინებს პიროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს თვით წვრილმანებამდე. რა თქმა უნდა, ზოგი საჭიროდაც არ ჩათვლიდა ამგვარ ფსიქიკურ მომენტებს, მაგრამ ნამდვილი ნარკვევისათვის ხომ სწორედ მათ ენიჭებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა:

„ჯუთაში წვივს ვეებერთელა გოლვაზე, მზით გარუჯული ხევსური ბავშვები გადმომდგარიყვნენ და ცხობისმოყვარე თვალებით მიგვაცილებდნენ, უფროსები კი ატალახებულ სოფლის ორღობეებში მომავალთ კარებთან გვხვდებოდნენ და თითო კათხა ღუდზე შინ გვეპატიჟებოდნენ. თან გვეკითხებოდნენ, — ვინა ხართ, საით გაგიწვიათ ვაჟებო“.

ეს წიგნი ერთი ლამაზი პოემაა ქართულ ალპინიზზზე, მის წარსულსა და მომავალზე. კითხულობ მას და გეამაყება, როგორ „ინათლება“ თვალშეუდგამი უსახელო მწვერვალები სახელებით: „შოთა რუსთაველი“. „ვახუშტი ბაგრატიონი“, „გურამ რჩეულიშვილი“ და სხვანი და სხვანი.

ვკითხულობთ სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს საქართველოს თვალწარმტაც ბუნებაზე, გვხიბლავს და თავისკენ გვეზიდება „სვანეთის დედოფალი“ — თეთნულდი, გვაჯადოებს „ხევის პატარძალი“ — მყინვარწვერი...

დახუარავ წიგნს და იმ 182 სვანის ომახიანი „ბუბა ქაქუჩელა“ ჩაგესმის შორეთიდან, ერთდროულად რომ ავიდნენ თეთნულდზე ქართული ალპინიზმის გარიჟრაჟზე.

ვისაც მთა უყვარს და მთებს შერკინებული ვაჟკაცები, უთუოდ ნობათად მიიღებს ამ წიგნს.

ა. ჯანელიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

ტელევიზია

9 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ანაბანა. 10.10 — „სპორტლოტო“. 10.20 — თქვენთვის, მშობლებო! 10.50 — ნ. პეტროვის კონცერტი (ფორტეპიანო). 11.20 — უსაფრთხო მოძრაობა. 11.50 — ხალხური შემოქმედება. ტელემიმოხილვა. 12.35 — „გახსოვს, ამხანაგო...“. 13.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „სულ ერთი დღე“ 13.45 — კონცერტი. 14.35 — რუსული მუზეუმი. 15.00 — „ცისარტყელა“. გვინეის ფოლკლორული ანსამბლის „პიტას“ გამოსვლა. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — კონცერტი. 17.55 — გესაუბრებათ პოლიტიკური მიმომხილველი ლ. ა. ვოზნესენსკი. 18.25 — ფილმი — ბავშვებს. 18.50 — აშკარა — დაუჯერებელი. 19.50 — მულტფილმები. 20.25 — თანამგზავრობა. ტელეჟურნალი. 20.55 და 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ინჟინერ ბარკასოვის გადარეული დღე“. პირველი და მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 23.40 — ო. სულეიმანოვი. პოემა „დედამიწავ, თავვანი ეც კაცს“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 9.25 და 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.20 — დილის ფოსტა. 10.50 — მხატვრული ტელეფილმი „ღვთისმოსავი მარტა“. პირველი და მეორე სერია. 13.05 — მსოფლიო კინოკამერაში. 13.55 — ფილმ-კონცერტი. 14.30 — გამარჯვებულნი. მე-10 გვარდიული არმიის ვეტერანთა შეხვედრა. 16.00 — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.15 — მოგზაურთა კლუბი. 17.15 — კიევის სატელევიზიო სტუდიის პროგრამა. 19.00 — სასურსათო პროგრამა მოქმედებს. 19.25 — საპაერო თავდაცვის ჯარების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 20.15 — ჯანმრთელობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — მუსიკალური კოსკი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი „მამისეული სახლის ზღურბლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — შევისწავლოთ ქართული ენა 11.15 — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა („ქალაქური სიმღერა“). 11.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი. 12.45 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — „მთიები ითქმის განმანათებლად“. 12.35 — „სტუდია დიალოგი“. 14.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 14.30 — „ბუნების კარი“. 15.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.20 — „ვესტნიკი“ 16.05 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „ტორპედო“ — ქუთაისის „ტორპედო“ — 8 აპრილის მატჩის ვიდეოჩანაწერი. 16.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა.